



საპოლიტიკო საზენიტრო და სალიტერატურო ნახატობიანი გაზეთი გამომდის ყოველ კვირა ღვს.

**შინაარსი:** ბურები — სხვა-და-სხვა ამბავი. — „კვალი“-ს კორესპონდენცია. — ინგლის-ტრანსვაალის ომი. — ეურნალ-გაზეთე-ბიძან. — ჩვენს ბოგინანებს, ლექსი ვეფხვილისა. — სეტყვისაგან დაზარალებულთა შესახებ, დუშკო ფალანდიშვილისა. — მსო-ფლია გამოყენა პარიჟში, (წერილები პარიიდან) ლ. დ-სა. — ბიბლიოგრაფია გი-ვისა. — გზა-და-გზა ნ. ყორანისი, — წერი-ლები რედაკციის მიმართ. — ბუნება (ვიოტედან) ი. გ-რისა. — „კვლის“ ფოსტა და განცხადებები.

ბ უ რ მ ბ ი.

IV

როგორც მესამე წერილში დაინახეთ „კვალი“ № 14) 1881 წ. ბურები მიენიჭა თავისუფლება, რაიცა განისაზღვრა ახალი ხელშეკრულობით. ეს ხელშეკრულობა შეეცხებულ და ცოტადანთა შე-ცვლილ იქმნა 1884 წ. ბრიტანიის მთავრობის მიერ. მაგრამ ბურებმა ეს, ისე როგორც მდინარე სან-დის ხელშეკრულობა, მთელი თავისი სავსებით ვერ დაიცვეს. ისინი, ვიწრო საზღვრებში მომწყვედულნი, შეეცადენ ამ საზღვრების გაფართოებას და გადი-დებას. და ეს, რასაკვირვლია, უნდა მომხდარიყო არა ინგლისელთა სამფლობელოების შევიწროებით, არამედ მათი მფარველობის ქვეშ მყოფ შაკანიანთა ადგილების წართმევით. და მართლაც, პირველთა ბუ-რების რაზმი გაემგზავრა ბეზუანლანდის (მდებარეობს ჩრდილოეთ-დასავლეთით) დასაპყრობათ, მარა საზ-ღვარზე მათ უორენის (ახლანდელი ინგლისის სარ-დალიაფრიკაში) რაზმი დახვდა და ბურები უომრათ უკან დააბრუნა. 1882 წ. ბურები მიიქცენ სამხრეთ-

აღმოსავლეთისაკენ და შევიდენ ზულუსთა ქვეყ-ნაში (ზულულანდ); ინგლისელებმა არც ამის შე-მოერთება დაანებეს; მიუხედავით ამისა ბურებმა ამ ქვეყნის ერთ კუთხეში რესპუბლიკა დაარსეს და 1887 წ. ტრანსვაალის ნაწილათ გახადეს. შემდეგ თავს დაესხენ სვაზილანდს, რომლის დამოუკიდე-ბლობა განსაზღვრული იყო ხელშეკრულობის მე-12 მუხლით და ტრანსვაალს შეუერთეს. ამავე მიზნით შე-მოადგენ ტონგოლანდს, მაგრამ ამ ქვეყნის დედო-ფალმა მაშინვე ინგლისის დედოფალს მიმართა, (1887 წ.) მისი უზენაესი მფარველობა მიიღო და მით დაიფარა ქვეყანა ბურებისაგან. 1890 წ. ბურე-ბი ისევ ჩრდილოეთისაკენ გაემუქენ და მოინდო-მეს ინგლისის სამფლობელოში შესვლა, მაგრამ საზღვარზე, ლიმპოპოს ახლო, დახვდა ცნობილი ჯემსონი პოლიციელთა რაზმით და გამოუცხადა: საზღვრის გადასვლა ომის გამოცხადებას მოასწა-ვებსო. ბურები დაბრუნდენ უკან. უკანასკნელათ, 1895 წ. ბურებმა მოინდომეს დაპყრობა ზამბანის და ამბეგასი, რომელნიც მდებარეობენ პორტუგა-ლიის ახალშენთა და ზულუსთა ქვეყნის შუა, მაგ-რამ ინგლისმა დაასწრო და ორივე პროვინცია თი-თონ შეიერთა.

წერილების სა-  
ზღვარზე  
პეპალი

ამნაირათ, საითაც კი გაექანენ ბურები, ყოველგან ინგლისის ძალა დახვდა და შავკანიანთა ადგილების ხელში ჩაგდება არ დაანება. ცხადია, ამ გამუდმებულ ქიშპობამ და ხელ-ფეხის შებორკვამ გაამძღვარა ბურებში სიმძულვარე ინგლისელთა მიმართ და ამ ორ ხალხთა შორის თანდათან უფსკრული ამოთხარა. უთანხმოება მით შორის თუვიდანვე აღმოცენებულა, დროთა მსვლელობაში უფრო და უფრო გამძღვარდა. ეს უმთავრესათ ტერიტორიალურ და ნაკონანალურ კითხვებს შეიცავდა და თუმცა ხშირ შეტაკებას ბადებდა, მაგრამ დიდ ომამდე არასოდეს არ მისულან. ეს დიდი ომი წარმოებს მხოლოდ დღეს. მის გამოწვევაში უეტყვილი ამ მიზეზებსაც წილი უდევს, მაგრამ მისი თავი-და-თავი მიზეზებია თიხვა კლასობური. არასოდეს ინგლის-ტრანსვაალის განხეთქილება იმ ვაშლავებამდის არ მისულა, როგორამდელ მივიდა ახლა გკონომიურ ნიადაგზე.

რაში მდგომარეობს ეს განხეთქილება?

ბური, როგორც პირველ წერილში განვმარტეთ, ინშვას გლეხს. მაგრამ ამ სახელით ჩვენ არ უნდა წარმოვიდგინოთ ჩვენებური გინდ ვეროპიელი გლეხი, რომელიც სულს ძლიეს იბრუნებს, არამედ შეცლებული ფერმერი, რომელსაც ჰყავს რამდენიმე მუღმივი მუშა (შავკანიანები), თითქმის მონებათ ქეტეულნი, ჰყავს ბევრი სამუშაო საქონელი, საწარმოებელი ფული და ნაწარმოებთა გასასაღებები ბაზარი. ბურებმა მიწა ჩამოართვეს ადგილობრივ მცხოვრებთ და თვითონ გაინაწილეს. ამნაირათ, შედგა ერთი მხრით მემამულეთა კლასი ანუ ბურები და მეორე მხრით უმამულონი ანუ შავკანიანები. ეს უკანასკნელნი იძულებულნი შეიქნენ ბურების ფერმებზე ემუშავათ და კიდევაც მუშაობდნენ. ამათი საერთო რიცხვი გასულ წელს იყო 750 ათასამდი, ხოლო ბურების რიცხვი კი ძლიეს უდრდა 200 ათას. ეს მგონი ერთათ ერთი მაგალითია ქვეყანაზე, რომს მთელი ერთი იმავე დროს ერთ გაბატონებულ კლასს წარმოადგენდნენ. ბურები გაბატონდნენ რადი უმრავლესობაზე ეკონომიურათ, გაბატონდნენ იმათზე პოლიტიკურათაც. მათ გამოსცეს კანონი, რომლის ძალით ადგილობრივი მკიდრი ვერასოდეს ვერ გახდება ტრანსვაალის მოქალაქეთ და მასხასადმე ვერასოდეს ვერ მიიღებს რაიმე მოქალაქობრივ და პოლიტიკურ უფლებებს. ეს კანონი ძალაშია დღევანდლამდის.

ამ გვართ, ბურები, საერთოთ აღებული, გაბატონებულ კლასს წარმოადგენენ ადგილობრივ ხალხის წინააღმდეგ, მაგრამ ამ ბატონთა შორისაც არის უფროს-უნტროსობა, ისინიც დაყოფილია ორ უსწორ-მასწორა კლასათ. პირველი კლასის

მოქალაქეთ შეადგენენ ისინი, რომელნიც ტრანსვაალში ცხოვრობდნენ 1876 წლამდის, ან და მონაწილეობა მიიღეს 1881 წლის და მერმინდელ ომებში (ინგლისთან და შავკანიანებთან). ამავე კლასს ეკუთვნიან იმათი შვილები არა ნაკლებ 16 წლისა. მეორე კლასის მოქალაქეთ შეადგენენ ისინი, რომელთაც მიიღეს ტრანსვაალის ქვეშევრდომობა და ამათი შვილები არა ნაკლებ 16 წლისა. ქვეშევრდომობის მიღება შეიძლება შემდეგ ხუთი წლის ცხოვრებისა ტრანსვაალში, ხუთი წლის მილიტაში სამსახურისა და ამას გარდა შემდეგ 25 თუმნის გარდაღებისა ხაზინის სასარგებლოთ. პირველი კლასის უფლებებია: არჩევა თავისი კლასიდან რესპუბლიკის პრეზიდენტის და ჯარების მთავარ-სარდლის ხუთი წლის ვადით; არჩევა პირველი ანუ უმაღლესი პარლამენტის, რომელიც შეიცავს 27 წევრს. ესენიც პირველი კლასის მოქალაქენი უნდა იყვნენ; პირველი პარლამენტი თავის მხრით ირჩევს ხუთ მინისტრს, რომელსაც პრეზიდენტის კაბინეტი ეწოდება, მეორე კლასის უფლებებია: არჩევა მეორე ანუ დაბალი პარლამენტის (აქაც 27 წევრია) პირველი კლასის მოქალაქეთათანამონაწილეობით. პროექტი მიღებული მეორე პარლამენტისაგან ვერ იქცევა კანონათ, სანამ მას პირველი პარლამენტი არ მიიღებს. მეორე კლასის მოქალაქე შეიძლება გახდეს პირველი კლასის მოქალაქეთ მხოლოდ პირველი პარლამენტის განჩინებით.

აქედან აშკარაა, რომ ამ გაბატონებულ „გლეხთა“ შორის ნამდვილი ბატონი ყოფილან პირველი კლასის „გლეხები“. ე. ი. ბურების უმცირესობა ბატონობს არა მარტო 750 ათას მკვიდრზე, არამედ თვით ბურების უმრავლესობაზედაც. ოანამდერავე ცხოვრებაში — ეს ერთათ ერთი ოფიკანაუ-ღა წყობილებაა. ეს კიდევ ცოტაა.

გლეხს საზოგადოთ ყოველგან და ყოველთვის გადასახადი ძულს. ბურებმაც ეს „გლეხური“ თვისება შეიარჩინეს და თავიდანვე ეწინააღმდეგებოდნენ ყოველნაირ გადასახადს. აი ამიტომ, ტრანსვაალის მთავრობა მუდამ უფულობაში და გეპოჩრებაში იყო. თვით 1881 წ. აჯანყება ინგლისის წინააღმდეგ, როგორც ვთქვით, გადასახადის აკრფვამ გამოიწვია. თავისთავთ ცხადია, რომ ამ „გლეხთა“ მთავრობას ყოველივე ღონე უნდა მიეღო მთელივეთა გაეთვისულებობა გადასახადებისაგან და მათ მაგიერ სხეები ჩაება. ვინ უნდა ყოფილიყო ეს „სხეები“? საიდან გამოეწვრათ ეს გადამხდლები? და აი, საბედნიეროთ 1886 წელს ტრანსვაალში, პრეტორიის ახლოს, აღმოჩნდა ოქროს მადნები. ამ პროვინციას ეწოდება ვიტვატერსრანდ (Witwatersrand). ბურები, როგორც გლეხები, ვაჭრობა-მრეწველობას

არ ეტანებიან; ისინი მეურნენია და მეურნეთ სურთ ღარიან. ამიტომ ასწიეს და ამ მადნების წარმოების უფლება ერთიანათ ინგლისის კომპანიას მისცეს იჯარით. იჯარის ფული ერთმ დიდი დაადევს, მაგრამ იმდენი ოქრო აღმოჩნდა აქ, რომ მთელი ქვეყანა გადაჯერა. მადნებს მიეწედა აუარებელი უცხოელი, განსაკუთრებით კი ინგლისელი. მაგ. 1895 წ. კვირაში ათასი უცხოელი შედიოდა ტრანსვაალში. კაპიტალისტი, მუშა, ვაჭარი, ხელოსანი—ყოველნაირი ხელობის კაცი აქ შეიყარენ და მოკლე დროში მთელი ტრანსვაალი ფეხზე დააყენეს. ახალმა წარმოებამ დაბადა ახალი ქალაქები, გააჩნდა სოფლები, რკინის გზები, ვახუთები და სხ. რამდენიმე წელიწადში ვაშენდა ისეთი ქალაქი, როგორც იოანესბურგია, სადაც ასი ათასი მცხოვრებია ამჟამათ. უცხოელთა რიცხვი თითქმის გაუთანასწორდა ბურების რიცხვს (ინგლისელების ანგარიშით კიდევაც გადაჭარბა). ბურებმა ვაჭრობა-მრეწველობა დაუთმეს ამით, სამაფიროთ დაადევს გადასახადები. გადასახადი არა მარტო კაპიტალისტს, (ეს ასეც უნდა ყოფილიყო) არამედ ყოველწარმოებელს, რომელიც კი ტრანსვაალში ფეხს შემოდგამდა, გადასახადები ყოველნაირი, ყოველ ფეხის გადადგმაზე, მარტო საპასპორტო გადასახადი უღრიდა და უღრის რამდენიმე მილიონს. ბურებმა სასურლებით გაათავიუფლეს თავის თავი ხაზინის ტვირთისაგან და მთელი გადასახადი უცხოელთ მოახვიეს თავზე. ხაზინა გაღდიდრდა, ტრანსვაალის მთავრობას იმდენი ფული მოუგროვდა, რომ წინეთ სიზმარშიაც ვერ წარმოიდგენდა. მაგ. ხაზინის შემოსავალი იყო 1884 წ. 143,000 სტერლინგი (სტერლინგი=9 მ. 50 კ.), გასავალი 184,000; ხოლო 1897 წ. შემოსავალი ავიდა 4,480,000 სტერლინგამდე, გასავალი კი—4,394,000 სტერ. და ნუ დავიწყებთ რომ ეს სულ მთლათ უცხოელის ჯიბიდან ამოვიდა.

და აი, ამის გადამხდელთ სახელმწიფოში არავითარი ხმა და უფლება არ მისცეს. ერთი მხრით დადგენ ბურები მთელი თავისი მართვა-გამგეობით, თავისუფალნი გადასახადებისაგან, მეორე მხრით, უცხოელნი, წოდებული უატილანდურათ, პოლიტიკურ უფლებას მოკლებულნი და ამავე დროს ყველა გადასახადის გადამხდელნი. ე. ი. ბური ართმევს ფულს უიტლანდერს და თავის სურვილისამებრ ხმარობს. პოლიტიკა-ეკონომიური წინააღმდეგობა მათ შორის ჩაისახა. გადამხდელთ მოითხოვეს: თუ ჩვენ ზურგზეა სახელმწიფოს მთელი სიმძიმე დაყრდნობილი, მაშნა ნება მოვცევით სახელმწიფოს საქმეთა მსვლელობაშიც ხმა გვექონდესო. უფლებას უმოყავო-ბათ თქვენ, მოყავათა უფლებათ თქვენ— ეს არ გვირ-

დაო თქვენ უცხოელებმა და ის იყო დაიბადა აგრეთ-წოდებული რეფორმის პარტია.

რომელი ერის წარმომადგენელი შეიქნენ ამ პარტიის მეთაურებათ?

ამისათვის საჭიროა ვიცოდეთ, რომელ ერს რა ალავი უჭირავს აქ. თავისთავით ცხადია, რომ რაკი მადნების წარმოება ინგლისის კომპანიას გადასცეს — აქ ინგლისელები უნდა გამარავლებულიყვენ. ეს ასეც მოხდა. უცხოელთა ორი მესამედი ინგლისელია. იოგანესბურგი ისეთივე ინგლისური ქალაქია, როგორც ლონდონი. ის კი არა, თვით პრეტორიაც ლამის ერთიანათ გაინგლისელებს. პატარა ქალაქებიც სოფლები, განსაკუთრებით მადნების ახლო-მახლო, ინგლისის ქალაქებიდან და სოფლებიდან არ განიჩევიან. ინგლისის კაპიტალს თან მოჰყვა ინგლისელი და ინგლისელს ინგლისური კულტურა. სხვა ერთა შორის, აქ განსაკუთრებით, გერმანელებია ბევრი. მაგრამ კონკურენცია ინგლის-გერმანიას ტრანსვაალის გერმანელი შუბრთ უყურებს გამძღვერებულ ინგლისელს. ამ ეკონომიურმა მეტაქცეობამ გერმანელი თუ სხვა ერის წარმომადგენელი ტრანსვაალში დააშორა ინგლისელს პოლიტიკურათ და მიუახლოვა ბურებს. და ეს არა. იმიტომ რომ ამით ბურები უყვართ, არამედ იმიტომ რომ ინგლისელები ძულთ. და რადგანაც აქ იმათ ვაჭრობაში ინგლისელები გბრძვიან და არა ბურები, პოლიტიკაში ბურებს მიეშბრენ ინგლისის წინააღმდეგ. ამით, ბძძოლა რეფორმებისათვის მთლათ ერთიანათ ინგლისელთ დააწვა კისრათ და ამიტომ უიტლანდერების კითხვა გადაიქცა ინგლისელების კითხვათ. რასაკვირველია, ესენი თხოვლობენ უფლებას არა მარტო თავისთვის, არამედ უცხოელთათვის საზოგადოთ. რეფორმის კომიტეტს დაერქვა ინგლისელთა რეფორმის კომიტეტი.

ამ გვარათ, ტრანსვაალის ბურები გაბატონდენ აღეგლობრივ ხალხზე და მათ ჩამოართვეს როგორც ეკონომიური ძალა, ისე პოლიტიკური უფლება; მეორე მხრით, ბურები გაბატონდენ უცხოელებზე, ყოველივე სახელმწიფო გადასახადი დაადევს ამით, ხოლო შესაფერი უფლება კი არ მისცეს; ყოველივე უფლება თვითონ დაიტოვეს, ხოლო შესაფერი მოვალეობა კი თავიდან გადაიძირეს. მესამეთ, თვით ბურებს შორის, ყოველივე უფლებით აღტურვილია მხოლოთ მოქალაქეთა პირველი კლასი და ბატონობს მეორე კლასზე...

ეს წყობა პირამიდისავით რომ წარმოვიდგინოთ მივიღებთ შემდეგ წყობას: სულ დაბლა დგას 750 ათასი მკვილრი, შაკეანიანი; ამათ ზევით 200 ათა-

სამდი უცხოელი, ამით ზევით მეორე კლასის მოქალაქე; დაახლოებით 125—140 ათასი, ხოლო სულ წყვერულზე 40—50 ათასი პირველი კლასის მოქალაქე...

თი, ამ „გლეხთა“ საარაკო წყობილება!

თი რატომ დაერქვა ინგლისის პარტიას პროგრესიული პარტია. ამ პარტიის ამბებს შემდეგ წერილში დავინახავთ.

სხვა-და-სხვა ამბები

წამდნსამე პირს მთავრობის ნებადართვით განუზრახავთ თფილისში დააარსონ საყოფაღოთო კლუბი (Бесесное собрание), რომლის წევრათ შეიძლება იყოს ყოველნაირი წოდების და შეძლების კაცო. საწვერო გადასახალია ნ მ წელიწადში. კლუბში გამართული იქნება სხვა-და-სხვა გონებრივი და ესტრეტორი მუცადინებოა წევრთა განვითარებლათ და გასართობათ. მაგ. კითხვები, ლექციები, ხატვა, მუსიკა, წარმოდგენები და სხ. ამ საქმის შესახებ დანიშნულია მოლაპარაკება დღეს, კვირას, (კლიზვეტს ქ. № 32 ბ. გამაზოკისას) და მსურველთ შედგომლათ დაესწრონ.

როგორც ვაგივით, თფილისის ცხენის რკინის გზაზე მოსამსახურეთა ფულით დაჯარიმებუა გაუუქმებოათ, რაც წინათ ასე დიდ ხმარებაში იყო. მოსამსახურეთა არეულობის ერთი მიზეზთაგანი ეს ჯარიმებიც იყო.

სათავად-ანაურთა ქარვასლის გამგე კომისიას, მიუხედავთ თავისი წინანდელი განჩინებისა, ახლა გადაუწყვეტია მოახდინოს ქართული თეატრის პატარა რემონტი და მით უზრუნველ ჰყოს ქართული წარმოდგენა. ამის გამო ქარ. დრამატულ გამგეობამ უარი უთხრა არტისტულ საზოგადოების ახალი შენობის გამგეთ იქ გადასვლის შესახებ და დაადგინა იჯარით აიღოს ქართული თეატრის შენობა. ამასთანავე უნდა ითქვას, რომ „არტისტული საზოგ.“ შენობის გამგეობა დიდი შეღავათით აძლევდა სალაშობებს ქართულ დასს, მაგ. თითო წარმოდგენაზე ქართველებისათვის დააწესეს 200 მ გადასახალი, ხოლო უცხო დასებზე კი არა ნაკლებ 250 მ. გარდა სომხურისა.

ქართული დრამატ. საზოგ. გამგეობამ გადაწყვიტა წესლაც გამოაცხადოს პრემია საუკეთესო დრამატულ ნაწარმოებზე. პრემიის პირობები გამოცხადებული იქნება. ცალკე. ამავე გამგეობამ დაადგინა მომავალ სეზონში გამოსცეს საჯარო ფურცელი, როგორც ეს ევროპის თეატრებში ჩვეულებათ არის მიღებული. ფურცელში იქნება მოთავსებული სათეატრო ამბები, რეცენზიება, ახალი პიესების შინაარსი, არტისტთა და დრამატურგთა ბიოგრაფიები, აფიშები, განცხადებები და სხ.

ამ ერთ კვირაში ორი სახიზლარი მკვლელობა აღმოაჩინეს ჩვენ ქალაქში. ერთი მომხდარა ნაბაღალდში, ქვა დაურტყამთ 14—15 წლის ქალისთვის და იქვე ნახვერთ ცოცხალი მიწაში ჩაუფლავთ, რომელსაც შემდეგ დიდი წვალბისას სული განუტუევენია. მეორე, აღმოაჩინეს ქ. ბათონის საღვურზე, ვილას ქალაქიდან გაუზახანია „ბაგაჯა“ ა იამიკი — ზენწარწერათ: თუ შურის ყველი, და ნამდვილათ კი დანაწილებული აღმოჩინის სხეული ყოფილა შიგ ჩალოცებული.

ჩვენ მივიღეთ შემდეგი წიგნები: 1, „ქრისტიანე“ მოთხრობა ეგ ინგოროყესი (ნიონაშვილი); გამოცემა ბათონის ახალ დაარსებულ გამომცემელ ამხანაგებთ, „ცოდნისა“. წიგნაკი ღირს ერთ აბაზათ: 2, „კანაბრიკიდან დარვინამდე“ რუსულიდან გამოცემებული 3 სურგულაძის მიერ (შარშან „კელოში“ იყო დაბეჭდილი). გამოცემა მ. ლალიძისა, ქუთაისში, ფასი ორი შური.

ქ. ფოთი. აქ ადგილობრვ სცენის მოყვარეთაგან აქაურ სამოქალაქო სასწავლებლის ღარიბ შეგირდების სასარგებლოთ გაიზარა ქართული წარმოდგენა, რომელშიაც რეპეზობულენ მონაწილეობის ქ.ქ. ნ. ყანაგელისა, ე ჩილაფისა. ბ.ბ. ყანაგელი, ვოგიტიძე, კონდახიშვილი, დავიდივი, ხარაბაძე, გოლომანი და ღვინჯილია. წარმოდგენამ შეენიერთ ჩაიპა და მოთამაშენი ტრუსის დავრით გამოუფულთ იქნენ მთავალაურ სცენაზე. შემდეგ იყო ქართული დივერტისმენტი, რომელშიაც თავი იჩინა ბ. ვოგიტიძე; ის განსუხვედრულ „ბრაიო“ და „ბისი“თ დააჯილდოვეს. იმედია შემდეგშიც არ მოგვალტებენ წარმოდგენებს.

ქუთაისიდან გვეწერენ, რომ ქალაქის ბაღის პირდაპირ, თუმანიშვილის ახალ შენობაში, ბ. მიტროფანე ლალიძემ გახარა მადნეულისა და ხელოვნურათ შემზადებული წყლების ქარხანა. ეს ახლათ დაარსებული ქარხანა თავისი სიფაქიზით და კარგი წყლებით განირჩევა სხვა ქარხანებისაგან. აქვე მსურველს შეუძლია ისარგებლოს ყველა ქართულ გაზეთებით და საუკეთესო რუსულ ჟურნალ გაზეთებით.

დ. სურამიძე და ნ. გვერცინე: აქაური მთავარე მ. ლიტუაშვილი უწიოდა სისხლის მართლის წესით სურამის საღვურის უფროსის თანაშემწეს ახ. ი. მახარაძეს. უკანასკნელი გამართლებულ იქნა სასჯელის განჩინებით; მომჩივანს ცილის-წამებისთვის ორი კვირით დახატომებმა მიუსჯეს და ამ დღებში უნდა დაეტუსლებოთ. მარა ბ. მახარაძემ ლიტუაშვილის თხოვნა შეიწყინარა, საჯული აპატივა ამ პირობით რომ მას შეეწირა ყველი მიზნისათვის სამასი მანეთი, რაც მდიდარმა ვაჭარმა შეასრულა. ამ ფულიდან ორასი მანეთი მახარაძის დანიშნულებით გაგზავნა ფოშით ოზურგეთის ახლათ სასწავლებლ ეკლესიას და ღარიბ სამკითხველთ თანსწავლს გასაცოფოთ, ხოლო ასი მანეთი სურამის ეკლესიის დასამარტულათ. დიდი მადლობის ღირსია ამისთვის ბ. მახარაძე, და აგრეთვე ლიტუაშვილსაც მადლობას ვწირავთ.

„კეალის“ კორესპონდენციები

ზურაბ. გურული ხალხი მიიპყრო დირსაო, ნათქვამია, ჯამას ვხვალთ უფელ ფეხის გადადგმაზე. საითაც უნდა წახიდე, უფელას რაღაც ცნობილებას და ახლა-ახლად გადასხვავებრებას ამჩნევ. აი მზე, ავიღოთ თეთი ოზურგეთი. ოზურგეთი არასოდეს არ ჩამოხმენია იპურების სხვა ჰატრას დაბა-ქალაქებს წინ-სვლასში. თუ რაიმე საქმე-მოქმედო ან საზოგადოებრივი საქმე იქმნება, პირველი ადგილი თუ არა, მუორე მანც კი კვირას ოზურგეთს. ავიღოთ წარმოდგენები: ამ ორა სამი წლის წინეთ აქ იყო სტენის მოყვრე ახლგაზღობა, რომელიც ხშირად მარ-თაფლა წარმოდგენის, მკრამ საზოგადოება ცოტა ესწრებოდა, რა სარგებლობას ეკადევდეს? შემდეგ ისე გადასხვავებურულა მისი წარმოდგენა თატრზე, რომ ახლა ხშირათ კაცი ბილეთებს ვეღარ შოულობს წარმოდგენის დროს. წინეთ, რომ თითო წარმოდგენის გამართვაზე შემოდით-და ოცი, ორმოცი მანეთი, დღეს იშვიათთ გამოერევა, რომ ან მანეთზე ნაკლები შემოვიდეს. წინთ ძირეულ გასაჭირი იყო მოთამაშე ქალების შოფან; დღეს იმ აზრისს იყვენ, ქალი რომ სტენაზე გამოვა ან აღარსად ვარჯიო და ამის გამო ვერავითარი ხეყნა-შუღარით ვერ დაიყო-ლოვდით დღეს, რომ თავისი ქალებისთვის ნება მი-ვიდთ სტენაზე გამოსვლის... კაცისთვის უნდა ჩაგვეყნა ქალის ტანისათვის და გვეთამაშება. ახლა კი სულ სხვაა, ქალებიც შეეყვინ სტენაზე გამოსვლას და წინან-დებურლათ აღარ თავილებენ. ასე რომ ამ მხრივ, გასა-ჭირი აღარ არის, მხოლოთ სახლის შოფან დიდთ გა-ჭირდა... თატრი რაღაც უჩინარმა შინათქა, ლოდინი ისევ ლოდინთ დარჩა; წინთ საძირკველი მანც კი იყო ამოყვანილი და ახლა ისიც საღვაც გამოქრალა... იქნება თატრი, რეინის გზა და ზოგამინათა ერთათ გვედირ-სოსქა? — ახლა ოზურგეთში სტენის მოყვრენი ქალებიც და კაცებიც საჭმარისათ გვეყვს, რომელიც ეტყობათ ნიჭი. ქალებათ შორის არ შეგვიძლია უტოლთადესი მადლობა არ ვუძღვინთ შემდეგ პირებს: ქ.ნ. მ. დლოუს, ლომ-თათიქს, მ. ხიტრანს, დებს შრამინძეებს, რომელნიც გულმოდგინეთ ჰქვიდებენ ხელს საზოგადო შრომას და კარ-გით ასრულებენ თაუ-თავის როლს. კაცებს შორის მადლობის დირსა აჩანს ბ.ნ.ნ. ვ. ურუშაძე, ძმ. წუწუნაძეები, ძმ. ხურციძეები, თ. ურუშაძე, ირ. დლოსტი, რომელნიც ვეითი სინიდასიერათ ასრულებენ თაუ-თავის როლს, არ ზო-გავენ არავითარ ძალ-დონეს და მატრეალურათაც დიდ შემწე-ობას აძლევენ თატრს. ბ.ნ. ვ. ურუშაძის წინამძღოლობით ამას წინათ გამართოს წარმოდგენა, საღაც მოწყვეთ იყო მსახიობი ქ.ნ. ნებერიძე, და ვაშაყვი, მათმა თამაშმა შე-უდარებელი აღტაცება გამოიწვია საზოგადოებაში. მთი მარათებს სხვა-და-სხვა საწერებრი. ვ. ურუშაძის თა-ოსნობით წარმოდგენები იმართება არა თუ ოზურ-

გეთში, არამედ სოფლებშიაც კი. ოზურგეთის სა-კითხველსა-კი ასეთი ჭებით ვერ მოვახსენებთ. ის დარბობა, ურუნდ-გაზოთობით კი არა, არამედ მკითხველებითაც; მის მოსდის ვეღა ადგილობრივი გაზეთები და სხვაც ბური, მაგრამ ვინ კითხულობს? — ძალიან ცო-ტა, სათქმელათაც არა დირს... ახლა ცოტა გადაუვლოთ თვალი სოფლებსაც: ოზურგეთიდან ხუთ-ექვს ვერსზე მდებარეობს ს. გომი, საღაც მღვ. ს. ანდლუაძის მეც-დინეობით შენდებს ერთ კლასიანი საეპარქიო საქალებო სკოლას. შენობას საღაც დასრულებული, სკოლის ასაშენებელი ფული მოჰურგეთა ხანდობთა შორის ს. ანდლუაძეს; მსვე სურს მოიწვიოს ეპარქიულ სასწავლებელში კურს დათა-ვრებული მასწავლებელი ქალი... ახლა ეკირებება სკოლის შემწევობა, რომ ეს კეთილი საქმე არ ჩაიფუროს. მღვ. ს. ანდლუაძეს, როგორც ვეიც 150 მან. თავის ფული აქვს დახარჯული ამ სკოლასზე.

დათიკო ელიპიტის შვილი.

ინგლის-მრანსნაპლის ომი.

ღმის ვეღადან მოსულა ამბები ბურების წინააღმდეგ და ინგლისელთა სასარგებლოთ დახარჯობენ. ქ. ვეპერე-ნიანს განდევნეს ბურები და მისი ახლო-მახლო ადგილე-ბიც გაათავისუფლეს მტრისაგან. აქ ინგლისელებს ტრეკით წაუყვებიათ 26 ბური, ხოლო მთით უფროსი ცნობილი ოლივიე ფეხში დაუჭრათ. ვეპერენიანს ბურები ტანს-ხუსკენ დაეჭანენ. ინგლისელები იერიშით მივიდენ ბუ-რებზე და იძულებული ხეყვენ უკან დაეწათ. — ამხანართ აღმოსავლეთით ინგლისელები მიიწვიან წინ: დასა-ვლეთით, ქ. მეფინიბი ისევ ბურების ხელშია. აქედან იუწვიებინ: „რამდენიმე დღეა, რაც ბურები რეინის გზის დაინდაეს აქვეენ შეეგინეს საშირეთ მხარეს. შეეყინების მთავრებამ შეუთავადა რომერტს, რომ ერთ თვეს კიდევ შეეინახვით თავსო. ჭარი არ დიკემულა სუღითო“. ლე-დისმიტიდან იუწვიებინ, რომ ბურებმა გადაწვიტეს ზამ-თარი ნატალში გაატარონ და ამის თავდაცვის შეუდებონ. (ახლა იქ ზამთარი დაიწყო).

ეურნალ-გამეტებიდან

ინგლისის ცნობილ სავეროო გაზეთში, „Spectator“-ში (5/17 მარტის ნომერში), მოთავსებულას განსვენე-ბული ეიორტი წერეთლის მოკლე ნეკროლოგი ამ სათაუ-რით: „A Caucasian man of letters“ — „კავკასიელი მწე-რალი“, — ხელს აწერს ვიკატჰე ვილაამსი. აი ამ წერილის თარგმანი:

„ინგლისელს, რომელსაც ცოტადენი რამე მანინგ  
კატონია კავკასიის და მის მგზავრებთან შესახებ, დიდად  
შეაწუხებს გიორგი წერეთლის გადაწყველების ამბავი. ის  
გადაიწვია 58 წლის, ათ იანვარს, ქ. თფილისში. ის  
ყოფილი იყო ნაყოფიერი მწერალი, იყო ზუბოლიცინი, ბე-  
ლეტრისტი და ზოკტი, საქართველოშიადაც სხვადასხვა, ამ  
საქართველოში, სადაც ზოკტი რიცხვი ისეთად ბევრია.  
განსვენებული სწავლობდა ზირველთა ზეტრებურდში, შემ-  
დეგ მიუხეზნებო, ცოცხალში და გენგვამი. მისი ცხოვრების  
უდიდესი მიზანი იყო თავისი თანამემამულეები დაქვალ-  
ვებით დასავლეთთან და მათთვის შეეთვისებია დასავლეთის  
იდეები. ის ასწავლიდა თავის ერს, ერს უმთავრესად  
ფეოდალურს და აზროვნებით ღირსიკულ, საკუთარი ძალ-  
ღონით და გამოქმედებით მუშაობით ჩამდგარიყო თანამე-  
დროვე კაცობრიობის კალანტში. მისი ისტორიული და  
არქეოლოგიური გამოკვლევები ცნობილია. საზოგადოებრივ  
მხურვალე მომხრე იყო ზროგრესის, რომელიც წარმოებს  
უფრო თანდათან კავითარებით, ვინამ რეჟოლოჟიითო.“

\* \*

აკაკის „კრებულის“ მე-II ნომერში, რომელიც ახ-  
ლა გამოვიდა, მოთავსებულია აკაკის საუურადღებო წე-  
რილი ამ სათაურით „თანამედროვე თავადა“. ან რას წერს  
ჩვენი სავარაუდო ზოკტი:

„12 იანვარს გარდაიცვალა გ. ვ. წერეთელი და 16  
დაკრძალეს დიდუბის ეკლესიის კლავანში. ჩვენ ნახსოვ-  
რობაში ჯერ ისეთის ზტოვით არავინ განსვენებულა  
როგორც ის! გაცნობით კო კაცობრივად, რომ ძველად,  
როცა რომელიმე, ქვეყნის მოჭირბახუნი, თანამედროვე  
დიდებულ თავადს მარხავდნენ, მამინ კი, თურმე მოი-  
ყრიდა თავს ხალხი სხვა-დასხვა კუთხეებიდან და გულ-  
მტკივნეულად ეთხოვებოდა ქვეყნის მოკეთეს. ეს დანხი-  
ნებული იყოველი ძველ დროსვე თან გტყვავ და დღევან-  
დელი განსვენება მხოლოდ თფილისშია. მართლაც, დღეს  
კიდევ როცა გვარაშვილებს და მალა-ხარისხოვნებს ასა-  
ფლავებენ, წინ მუსიკა მიუძღვისთ, უკანადაც საკუთარი  
კეპაჭების ზრიცხი ბანს აძლევს, ვუთხროს მოსდევნებ მდი-  
დრული მორთულ-მოკაცოებული ხელქვეითები და ხალხსა-  
მოყვრები. მტრამ ესეები ვეუდა მხოლოდ თვალს სტრის  
და ვუთხროს მანინ არას უგუნბეს! სულ სხვა გვარი იყო  
გ. წერეთლის განსვენება: არც მუსიკა, არც კეპაჭები,  
არც ხელქვეითები და არც ზურ-მარდალით მომადლოებუ-  
ლნი ვინმეები! დაესწრნენ მხოლოდ ჩამდვილი გულ შემა-  
ტკივნეობი და მათი რიცხვიც უთვალავი იყო. სწორეთ  
ისე როგორც ძველად, ხალხმა დამარხ თანამედროვე თა-  
ვად. განსვენებული გიორგი წერეთელი არ ეთვალა დი-  
დი ოჯახის ჩამომავალი, მტრამ ეტოლბა, რომ ხალხის  
გონიბობა-განებას, დღევანდელ შეხედულებით, აუღიარებია

თავად და მის სწორმხედველობას ვედარც ჩვენ  
წაუვალთ. ქვეყნის განხიზება არის „ნმა ღვთისა და ნმა  
ერისა... ძველი დრო წავიდა და მას თან გტყვავ ძველი  
გვარი თავდა-ახსურობაც. ახლა სულ სხვა დრო დადგა,  
სხვა მოთხოვნილებით და თავადელი სხვა გვარი გვემბრ-  
ვება: ეს ესმის ხალხს და ნურავერს უკაცრავად, თუ  
ძველ თავდა-ახსურთან ჩამომავალი, რომელიც დღეს არა  
თუ მეთაურობს და თავადობს არ შეუძლიათ, ფეხიც ვე-  
დარ მოჟუადებით იმაზე, რაც მამა-პაპათაგან დარჩათ,  
იმავ ზტოვით ვერ იხსენიებდნენ, როგორც მათ წინა-  
რებს და სულ სხვას ადარებდნენ დღევანდელ თავადთ!  
მართლაც, მთლი და უთხრა ქვეყანას: დღევანდელი გტყ-  
სუებული „მრავალმადიერას“ მთლიანად და ხსენდის-  
მთლიანად ძველი ოჯახის ნაშთები იწამე და ეთაყვანე,  
მხოლოდ მიტრამ რომ, ოდესმე მკათ კარგი ძველები  
ჭეოლათ-თქო!... ჩვენი ერი დღესაც მხოლოდ იმას სტყმს  
თაყვის და ადარებს თავადთ, ვინც დღევანდელ საქმეს  
თავში უღვია და ქვეყანას გულწრფელად ემსახურება, ამ  
გვარი მოღვაწე, რომელ წრიდან და რომელ წოდებიდა-  
ნაც უნდა იყოს, ქვეყნისთვის ერთია. ის აფხაგუს კაცურ-  
კაცობით და არა სასოტოობით მოწმობით. ეს ნათლია  
დაგვანახვა გ. წერეთლის განსვენებამ: მიუხედავთ იმ წრი-  
სა, რომელიც დედამამასთან განწოვბას ცდილობდა გან-  
სვენებული გ. წერეთლისა და სიციცხლეში მოსვენებას  
არ აძლევდა, დაბალმა ხალხმა, ფესვმა ურთხვებისამ, თვით  
დასდგა მას საკუთარი უტყუარი მსჯავრი და „კვამ“ მის  
განახენს!“-ო, ათაყვის აკტობი.

\* \*

არ შეგავძლიან ამასთანავე გულმტკივნეულობით არ  
აღვნიშნით ის სრულიად უხამსო და ცილისწამებით სავ-  
სე წერილი, რომელიც „კრებულის“ იმავ ნომერშია  
მოთავსებული და კეთუხის ბ. ს. ჭეგანიას (კრებულის  
ექთმებელს წერეთელი). ჩვენ ამ წერილს სრულიად არ  
მოგისწენებდით, რომ იგი აკაკის ჟურნალში არ იყოს  
დაბეჭდილი და მამასადამე აკაკის მიერ წაკითხულ და ჩე-  
ბა დართული. ვერ გავივით რატომ გამოაქვეყნა ბ. აკა-  
კიმ ეს ვითომ და მოგონება, ხოლო ჩამდვილათ კი ერთი  
საზოგადოებრივი ცილისწამება. რასაკვირველია, ჩვენ აქ არ შეე-  
ხებოთ განსვენებული გ. წერეთლის მოწმობას (მიტყავთე-  
ლის მოწმობა მოგვანა ვის არ შეუძლია!), აღვნიშნავთ მხოლოდ  
ცილის წამების ციციციების შესახებ. აკტობი წერს: „კვა-  
ლის“ ახალი ჟურნულის ახალგაზდათ „არ ესმოლათ გარ-  
კვეით არც ჩვენი დღევანდელი ცხოვრება, არც ჩვენი  
წარსული, უადრევედღინ თითქმის ჩვენს ეროვნობას,  
ჩვენს ისტორიას, ჩვენს კულტურას“.



ამაზე უსაზიზღრესა ცილის წამება კიდევ შეიძლება? გამოდის, რომ ჩვენ უარყოფით სწორეთ ამ საფუძვლს, რომელზედაც ვდგევართ, ე. ი. უარყოფით ჩვენ თავს! სად, როგორ, რით—ამას რასაკვირველია არავინ ხსნის, სიტყვა წამოისროფეს და კათავდა. ბ. ს. ჭკარაძის აბა საიდან ეცოდინება—რას ნიშნავს ბუქვლით ცილისწამება და კიდევ ასეთი საშინელი, მარა ბ. აკაკიმ ხომ კარგათ იცის და სწორეთ ეს გვაგვირუებს...

ჩაირეთ, ჩაირეთ,  
ჩვენ თქვენ გზას ვერ გამოვევებით,  
შუადრავათ, ბოჯადისნო,  
ვერ გავსენებთ ქებათ-ქებით

ი. კვლეშვილი.

### სეტყვისაგან დაზარალებულთ შესახებ.

**უ**მორჩილესათ ვთხოვთ, ამ ჩემ წერილს, თუ შეიძლებაოდეს, პატარა ადგილი უბოძოთ თქვენ პატივცემულ ვაზეთში.

როგორც მოგესტენებათ, შარშან მ იენისის სეტყვისაგან დაზარალებენ ფრონის ხეობაზე თითქმის თექვსმეტ სოფელზე მეტი, ისე რომ შემოსავალი სრულიად არ აუღიათ მცხოვრებლებს და ვენახები სამამულეთ ამოუვარდათ; შემწეობა კი ამ დაზარალებულებს არსაიდან არ აღმოუჩნდათ, მხოლოთ თ. კ. მ. ამირჯიბის თაოსნობით ავღვევის და ცერონისის გლეხებს დაურიგდათ ასი თუმანი და ენლა, როგორც გავიგე, კიდევ ას ათი თუმანი შეუფროვებია ამ დაზარალებულ გლეხებისათვის და ამ ცოტა ხანში დაურიგებს. დიდი მაძლობის ღირსია თ. კ. მ. ამირჯიბი და დიდი შემწეობასაც უჩენს გლეხებს,—ხალხიც დიდი მაძლობელია. აგრეთვე კნ. მ. ამირჯიბის თაოსნობითაც შეგროვდა 70 კოდი პური და რამდენიმე თუმანი ფული, რომელიც დაურიგდა ოქონის და კნოლევის გლეხებს. რასაკვირველია, ეს შემოსხენებულნი შეწირულებანი, როგორც ცვარი ზღვაში, ბევრს არას შეადგენს, თუ სხვა რაიმე შემწეობა არ აღმოუჩნდათ საიდანმე ამ დაზარალებულებს. ისედაც დაქვეითებულნი მეურნეობაში ეს თექვსმეტი სოფელი, სულ წყალ-წოდებულნი შეიქნენ. რა საჭიროა გაქიანურება, ვიტყვი მხოლოთ, რომ ჩუმი შიმშილი ტრიალებს ამ გაიერანებულ სოფლებში.

ამ დასეტყვილ სოფლებში მცხოვრებნი მართკო გლეხობას არ შეადგენს, თითქმის მომეტებული მამული თავდა-აზნაურობისა არის და ზარალი ამათ უფრო მიეცათ. ბევრ თავდას და აზნაურს საკუთარი ვენახის და სახნავის შემოსავალი სრულიად გამოეცალათ ხელიდან და ბევრმა ვენახებიც აჩვენს (ძალიან დავაშავეთ, რომ მაშინვე არ აჩვენებთ ვენახები, ენლა ახალი ზაგა იქნებოდა). ბევრს უჭირს რომ ახალ მოსავლამდის თავი გაიტანოს;



ჩვენს ბოჯადისხენს

კვირეთ, იტრავლეთ...  
დასცით ბუკი და საუგით!  
რავა დატრნათ ამის შეტი—  
დღე დაჯივლათ გასაქონი!

მთას შესუბუქათ ატაციდნი  
ძირს შოჯარავთ ქერი-ჭერით,  
გულ-აზდილათ კვამასუხეთ  
რამდენ ხერულში გამოძვრით?  
ჩაირეთ, ჩაირეთ,  
გზას გადოცეთ ჩსავაღისკენ,  
მაინც ზარი იქით გქონდათ  
და გეფა კი ცხოველ შოისკენ.  
იმათ თქვენს, თქვენ იმათ,  
ტაშ-ფახლურა გაიმართათ:  
„გაუმარჯოს, საქთრველოს,  
ჩვენ ბიჭობას და ჩვენ შკავადათ.  
გაუმარჯოს, გაუმარჯოს,  
შემოგებედეთ რა ვართ კრთი!  
ჩვენც ვითქმებით ოფიმხედა  
აზღვონი თუა დმერთი“.  
კარგით, კარგით, გაუმარჯოთ,  
მაგრამ ჩვენ რას ვეგებდისებით?  
იტრავლეთ რომ ვერ დაკვიტრეთ  
უნდალ ძაფის, აჩკესებით.  
ისევე იმათ კალაუტკეთ  
ვისაც ჭკუებდით არაკვებით,  
ჩვენ კი სურას შუადრავათ  
მაკისთანა გამოკვებით.


ყველას ცხოვრება უნდა, შეგლა და შემწეობა არ-  
საიდან არის, ვალში ცვივდებიან და იღუბებიან.

მარტო თავად-აზნაურთა ბანკმა გადადო ექს-  
ასი თუმანი ამ დაზარალებულებისათვის და ჯერაც  
არაფერი ამბავი ისმის. შარშან ბანკს გამოვჩვენა  
კომისია, რომ შემოწმებინა დასტუტყვილი სოფლები.  
ამ კომისიამ მარტო თვლი ვადავლო ზოგიერთ  
სოფელს, არც კი გამოიძია რიგიანათ, არც კი  
გამოიკვლია დაწვრილებით, ვინ როგორ წახდა,  
რომელი სოფელი უფრო დაიღუბა და სხ. გაიარა  
ბერძნთ ხანმა და ბოლოს გორის თავად-აზნაურთა  
წინამძღოლს 28 წრემომერს მოუყვიდა ბანკიდან ქა-  
ლაღლი, რომ მანდვე კომისია ამოირჩიეთ და  
მაგათვე შეამოწმონ და გაიგონ, ვინ როგორ და-  
ზარალდაო (რათა სწუხდება ბანკის მმართველობა  
ამაზე, რას ეტყარება? განა სულ ერთი არ არის  
შემწეობა ადრე მიეცემა თუ გვიან? მაგრამ, რა  
გაეწყობა, ვინ არის ხმის ამომღები). ნუ თუ არ  
გაიკვირებ? ზამთარში არშინი თოვლი იყო ყველ-  
გან და დაწვრილებით გამოიკვლიეთო! ე. ო. ვის  
რამდენი დღიური ვენახი აქვსო, რამდენი სახნავი,  
სანადელო, სათიფე, ტყე, ვის რა შემოსავალი აქე-  
სია, ვის რა ეხარჯება სახლიო, ვის რამდენი ჰენ-  
სია აქვსო, ვის რამდენი თამასუქები აქვთო და სხ.  
რატომ ბანკი იმასაც არ იძიებებს ვის რა აფევი აქვს:  
ქვები, ზედადგარი, ქოთნები, ქულუქლები და სხ.

რა გაეწყობოდა, თავად-აზნაურთა წინამძღოლ-  
მა მაშინვე ამოირჩია კომისია. კომისიამ ამ წლის  
თებერვალში თავისი შეკრებილი ცნობები გა-  
გზავნა ბანკში.

აგერ მესამე თვე მდის და ჯერ ბანკიდან არა-  
ვითარი ამბავია. რას ნიშნავს ეს? ნუ თუ ხალხს  
არ უჭირთ? ნუ თუ კიდევ ეგვიანებთ? აბა ეს  
რას ჰვავს, თითქმის მეორე მოსავალი მოდის,  
ყოველი თავად-აზნაური გაჭირებული და კი-  
დღევ ეგვიანებთა შემწეობა? თუ კი ადამიანს შიმში-  
ლით სულღი ამოუყვა, მაშინ რაღათ უნდა საზრდო?  
ეს მხოლოთ ბანკის მმართველებისაგან ჩვენი სასაცი-  
ლოთ ავღებია და ისევ ჯობია ეგ ფული ვისაც  
უნდათ იმას მისცენ.

ღუშვილი ფლავიანდისვილი



### მსოფლიო გამოუყენა ბარიეში.

(ერთი თვალის-გადავლებით).

(შემდეგია \*)


ზელოვნებათა სასახლეებიდან სწორეთ მიე-  
მართება გრძელი ხეივანი. მას მხოლოთ ერთ ადგი-

ლას წყვეტს მდ. სენა. თუნდ სხვა მხრივ გინ-  
ლოდეთ წასვლა, ხეივანი და მის ორივე მხარე-  
ზე ამართული გამოფენის სასახლეები მიანც თავის-  
კენ გიზიდავენ და გვაბატონებინან. ეს გზა უფრო მარ-  
ჯვეც არის, რომ განაგრძობთ გამოფენის დათვალი-  
ერება. სანამ მიხილადეთ ამ მხარეზე მდებარე სა-  
სახლეებამდის უნდა გაიაროთ ახლათ ვაკეთებულნი,  
ალექსანდრე მ-III-ის ხილი. რაც უნდა ვეჭვარებო-  
დეთ, ამ ხილზე მიინც უცბათ ვერ გადავლით. არა  
ერისხა და ორ ადგილს შეწერდებით მის დასათვა-  
ლიერებლათ. ხიდის თვითოეულ კუთხეში, თავსა  
და ბოლოს, ამართულია მალაღი, ოთხკუთხი ქვის  
სვეტები. ამათ მწვერვალებზე ხედავთ ყალბზე შემ-  
დგარ ფროსიანს ცხენებს, რომელთაც ძლივს აკვე-  
ბენ იუბიტერის (ძველ ბერძენ-რომაელთა ღმერთის)  
შიკრიქნი. ეს ქანდაკებანი ბრონძისაა და ყვითლათ არის  
მოვარაყებულნი. სვეტების მალალ კვარცხლ-ბეკებზე  
სხედან ვეებერთელა ტანის ქალები. (რიცხვით ოთხ-  
მოადგენენ საფრანგეთის სხვა-და-სხვა ისტორიულ  
ეპოქებს (საშუალო საუკუნეების, აღორძინების  
დროის, ლიუდოვიკო მე-XIV-ს და თანამედროვე  
საფრანგეთს), ქანდაკებათა წინ დგანან საშინელი  
ღარაჯნი, დიდბრძნი ლომები. ხიდის მოაჯირი  
ბრონძისა და სპილენძისაგან მოქსიავლი, რომელ-  
საც აქა-იქ მორთული აქვს საფრანგეთის და რუ-  
სეთის გერბები, დაშვევებულია კანდელიაბრებით.  
ხიდის სიგანა 40 მეტრი, 20 მეტრი შუაში ტრა-  
მეისა და ეტლების საფალი გზა, ათ-ათი მეტრი  
ორივე მხარეზე ტროტუარები. ღამით 508 ელექ-  
ტრონის ლამპარით განათებული ხიდი საუცხოვო  
სურათს წარმოადგენს.

აი ვახველით ხიდს, გაიარეთ რამდენიმე ნაბიჯი  
პირდაპირ და აგერ სიამოვნებით უტკერით კარგა  
მანძილზე, ორპირათ გამოწყვიტებულ სასახლეებს.  
აღარ იცით რომელს შეაჩერით თვლი, რომელი  
მათგანის სიშენიერით დასტკებთ. პირველი წყება  
სასახლეებისა ეკუთვნის საფრანგეთის მრეწველობას.  
გამოაფრდილია ყველია, რაც კი შეადგენს საზოგადოე-  
ბრივ შენობათა, თუ ეკრძია სახლების მორთულო-  
ბას. აქ ხედავთ სხვათა შორის მთელ ქვეყნიერობა-  
ზე გათქმულ ვობლენის „შაღლერებს“; აქვეა ავე-  
ჯეულობა, ხალიჩეულობა, თუ სხვა მოსართავ-ქსო-  
ვილებიანი; შუშის, ბროლის თუ ფარფორის ქურ-  
ქლეულობა და ნივთები; სახლების გათბობა, განა-  
თება, ვენტრილიაციის მოწყობილებანი. შემდეგ  
წარმოადგენილია ქალაღდის მრეწველობა, საოქრო-  
მეუდლო, მესათობა; ბრონძის და რკინის მრეწე-  
ლობა; გუტაპერჩი-კაუჩუქის მრეწველობა; სათამაშო,  
გასართობების და ტიკინების წარმოება და სხ. და სხ.

\*) იხ. „ქალი“ № 16.





მომარაბა პეკინის ქუჩაში.

ამავე რიგის შენობებში საყურადღებოა „ბრეტონის (საფრანგეთის პროვინცია) გამოფენა.“ შესანიშნავია ხის წარმოება; აგრეთვე ტანისამოსის ქსოვილების, ავეჯეულობის, იარაღების, ქურჭლის, ოქრო-ვერცხლის სპილენძის, და სხ. წარმოება; აქვე წარმოდგენილია ბრეტანის მხატვრობის და საზოგადოთ ხელოვნების ისტორიული განვითარება. ამავე რიგზე ვხვდებით სევრის (საფრ. პროვინცია) მრეწველობას საზოგადოთ და კერძოთ სევრის ვანთქმულ ფარფორის წარმოებას. გამოფენილია როგორც ნაწარმოები, ისე თვით პროცესი წარმოებისა, ქურბითურთ.

მეორე წყება სასახლეებისა შეიცავს ზოგიერთ წარმოებას სხვა სახელმწიფოებისას (ბელგია, რუსეთი, გერმანია, შვეიცარიული შტატები, ინგლისი, იტალია, დანია, ავსტრო-ვენგრია, იაპონია).

სხვა სახელმწიფოთა სასახლეები გრძელდება მდ. სენის მარცხენა ნაპირზე, დასავლეთით. ამ ადგილს ეწოდება „ეროვნებათა ქუჩა“, აქ არც ერთი შენობა არა გავს მეორეს. თითოეულ მათგანს თავისი განსაკუთრებული ხასიათა აქვს. უმეტესი მათგანი აშენებულია იმ სახელმწიფოს მუშეებით და მასალით, რომელსაც ესენი ეკუთვნიან. შენობათა უმთავრესი დარბაზები დანიშნულია ოფიციალურ სტუმრების მისაღებათ.

სასახლეთა პირველი წყება ეკუთვნის პორტუგალიას, პერუს, სპარსეთს, ლიუქსემბურგს, (ცალკე სამფ.), ფინლანდიას, ბოლგარიას, რუმინიას. მეორე წყებაზე ერთბაშად იქცევა ყურადღებას, უფრო თავისი სიდიდით, პირველივე სასახლე, აშენებული მე-15-ტე საუკუნის სტილზე; ხუთი კარგა მოზილილი გუმბათი ეკლესიის შეხედულებას აძლევს სასახლეს. გვერდზე ამართულია აღმოსავლეთის გემოზე ნაშენი სასახლე. მის მწვერვალზე ვაკეთებულად მივიგებ და ვარსკვლავ-მთვარიანი ბიარად გატყობინებთ, რომ სასახლე უნდა ეკუთვნოდეს იმ სახელმწიფოს, ვისი შინაური პოლიტიკურ-ეკონომიური ცხოვრებაც ისე ნაკლებათ წააგავს ამ შნათობათ—ეს არის ოსმალეთი. მოაშორეთ ამ „პარსკვლავს“ თვლი და თქვენ წინ აიშარებთა უმელებელი სასახლე უმელებელი გუმბათით. მის მწვერვალზე ზის ფრთა-გაშლილი არწივი, რომელსაც დეკლანქებში უქირაეს ღენტი ზეწარწერთი: „ამერიკის შვერთბული შტატები“. სასახლის უმთავრეს შესავალ ბუქს თავზე პროგრესის ეტლს მიაქანებს ოთხი რაში, ეტლზე ზის თავისუფლების ღმერთა. ბუქს წინ ამართულია ამერიკის თავისუფლებისათვის მებრძოლის გიორ. ვაშინგტონის ქანდაკება.

ამერიკის სასახლეს შემდეგ კიდევ მრავალი სხვა შენობები, პავილიონები და კოშკებია, მე-XV, მე-XVI, მე-XVIII საუკუნის თუ აღორძინების ეპოქის სტილზე აშენებულნი. ესენი წარმოადგენენ ავსტრიას, ბოსნია-ჰერცეგოვინას; უნგრეთს (ვენგრია), ინგლისს, ბელგიას, ნორვეგიას, გერმანიას, ისპანიას, მონაკოს (ცალკე სამთავრო), შვეიცარიას, საბერძნეთს, სერბიას. ამაში ყურადღებას იპყრობს თავისი სიდიდით ავსტრო-უნგრეთის, ინგლისის და გერმანიის სასახლეები. დანარჩენებიც ერთმანეთს ეცილებიან თავისი სილამაზით. ხოლო ბელგიის სასახლე ხელოვნების ნამდვილი საკვირველებაა. იგი წარმოადგენს ასლს ბრიუსელის გოტიკურ სტილზე ნაშენ საქალაქო საბუკოს საოცარ შენობისას.

